საქართველოს მთავრობის

დადგენილება

N649 2015 წლის 25 დეკემბერი ქ. თბილისი

„სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის“ 2015 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 29 იანვრის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის“ 2015 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 29 იანვრის №14 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 30/01/2015, 470230000.10.003.018398) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის“ 2015 წლის სახელმწიფო პროგრამის:

1. მე-2 მუხლს დაემატოს „ქ“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„ქ) შპს „აბასთუმნის ტუბსაწინააღმდეგო საავადმყოფოს“ გათბობის ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯები.“.

2. მე-3 მუხლის:

ა) მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ამ პროგრამის მე-5 მუხლით გათვალისწინებული ცხრილის მე-8 პუნქტით განსაზღვრული თანხის შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“, მე-9 პუნქტით განსაზღვრული თანხის შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის“, მე-12 და მე-13 პუნქტებით განსაზღვრული თანხის შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიისა“ და 22-ე პუნქტით განსაზღვრული თანხის შპს „აბასთუმნის ტუბსაწინააღმდეგო საავადმყოფოს“ ანგარიშებზე მიმართვა;“;

ბ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიამ“, შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრმა“ და შპს „აბასთუმნის ტუბსაწინააღმდეგო საავადმყოფომ“ უზრუნველყონ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვისა და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროებისათვის და სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის ინფორმაციის მიწოდება გადარიცხული თანხის ხარჯვის შესახებ, მოთხოვნის შესაბამისად.“.

3. მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის ბიუჯეტი კომპონენტების მიხედვით განისაზღვროს 25 088.4 ათასი ლარით:

№	კომპონენტის დასახელება	ღირებულება (ათასი ლარი)
1	სს „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის“ ფუნქციონირების	433.4

	უწყვეტობის უზრუნველსაყოფად საიჯარო გადასახადის გადახდა	
2	**სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ადმინისტრაციული შენობის:**	**1 101.0**
	2.1 მშენებლობის პროექტის/საპროექტო სამუშაოების შესყიდვა	101.0
	2.2 სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა	1 000.0
3	**საექსპერტო/საინჟინრო სამუშაოები და საპროექტო/ საავტორო ზედამხედველობა**	**69.5**
4	**დაბა-ხარაგაულის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ცენტრის:**	**218.5**
	4.1 სამედიცინო აღჭურვილობის, საოფისე ავეჯის, ინვენტარისა და საყოფაცხოვრებო ტექნიკის შესყიდვა	195.3
	4.2 გათბობა-გაგრილების სისტემის სამონტაჟო სამუშაოების შესყიდვა	23.2
5	**სსიპ – სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის:**	**2 759.7**
	5.1 სამედიცინო მოწყობილობების შესყიდვა	850.0
	5.2 კომპიუტერული და საყოფაცხოვრებო ტექნიკის შესყიდვა	149.4
	5.3 მაღალი გამავლობის მანქანების (4X4) შესყიდვა	1 700.0
	5.4 სპეციალიზებული ფორმების შესყიდვა	52.0
	5.5 ელექტროკარდიოგრაფის ჩანთების შესყიდვა	8.3
6	**ეროვნული სამედიცინო ტრენინგცენტრის:**	**116.3**

	6.1 კომუნალური ხარჯების დაფინანსება	20.0
	6.2 შენობის დასრულების სარემონტო-სამონტაჟო სამუშაოების შესყიდვა	46.7
	6.3 შენობის დასუფთავების მომსახურების შესყიდვა	15.0
	6.4 შენობის დაზიანებული გარე ფასადის მინებისა და საკეტების შეცვლის სამუშაოების შესყიდვა	5.0
	6.5 მოძრავი ტიხრების მოწყობის სამუშაოების შესყიდვა	1.0
	6.6 ფარდა-ჟალუზების შესყიდვა	16.0
	6.7 საინფორმაციო ბანერის (განათებით) შესყიდვა	3.1
	6.8 შენობის ფასადზე წარწერის შესყიდვა	2.5
	6.9 ელექტროობისა და წყალგაყვანილობის შეკეთების სამუშაოების შესყიდვა	5.0
	6.10 შენობის სანიტარიული მომსახურების შესყიდვა	2.0
7	პროგრამის ადმინისტრირება	45.0
8	შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ ტერიტორიაზე არსებული სპეციალურად განკუთვნილი სამარაგო ფართის:	118.1
	8.1 სარემონტო სამუშაოების შესყიდვა	55.2
	8.2 ვიდეო სამეთვალყურეო სისტემის შესყიდვა	42.1
	8.3 სამარაგოს დაშვების სისტემა-სიგნალიზაციის შესყიდვა	12.7
	8.4 საცავის ვენტილაციის სისტემის შესყიდვა	8.1
9	საქართველოს ზოგიერთ მუნიციპალიტეტში (ბორჯომის (დაბა ბაკურიანი), ყაზბეგის (დაბა სტეფანწმინდა), თიანეთის (დაბა თიანეთი),	7 190.1

	თეთრიწყაროსა (ქ. თეთრიწყარო) და წალკის (ქ. წალკა)) მოქმედი შპს „ჯეო ჰოსპიტალსის“ საკუთრებაში არსებული სამედიცინო ცენტრების (მოძრავი და უძრავი) ქონების გამოსყიდვა, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 თებერვლის №302 განკარგულების შესაბამისად	
10	დაბა ხარაგაულის მრავალპროფილიანი საავადმყოფოს სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა (ვერტიკალური დაგეგმარების გარეშე)	307.8
11	ლენტეხის მრავალპროფილიანი საავადმყოფოს სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა	517.3
12	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუხში მრავალპროფილიანი საუნივერსიტეტო კლინიკის სამშენებლო სამუშაოების განხორციელება (ნაწილობრივი დაფინანსება)	5 000.0
13	დედოფლისწყაროს მრავალპროფილიანი საავადმყოფოს სამშენებლო სამუშაოების განხორციელება (ნაწილობრივი დაფინანსება)	2 000.0
14	ლიცენზირებული ცენტრალური ელექტრონული სამედიცინო ჩანაწერების HMIS მოდულების cEMR პლატფორმით თანდათანობით ჩანაცვლებისათვის საჭირო მომსახურების შესყიდვა	3 405.9
15	მობილური ამბულატორიის შესყიდვა	112.0
16	სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის“ ბავშვთა კორპუსის:	417.6
	16.1 საპროექტო სამუშაოების შესყიდვა	27.6
	16.2 სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა	390.0

17	ქ. თბილისში ტუბერკულოზის ეროვნული სათაო/რეფერენს ლაბორატორიის მშენებლობის დამატებული ღირებულების გადასახადი	80.6
18	შპს „თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფოს“ ფუნქციონირებისათვის საჭირო სამედიცინო მოწყობილობების შესყიდვა	506.0
19	საქართველოს ზოგიერთ მუნიციპალიტეტში (ახალგორი, ხაშური, სენაკი, ჩოხატაური, მცხეთა, ქარელი) არსებული სამედიცინო დაწესებულებებისათვის/ამბულატორიებისათვის სამედიცინო მოწყობილობების, საოჯახო ტექნიკისა და საოფისე ავეჯის შესყიდვა	188.0
20	სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრისა“ და შპს „აბასთუმნის ტუბსაწინააღმდეგო საავადმყოფოს“ ფუნქციონირებისათვის საჭირო სამედიცინო მოწყობილობების შესყიდვა	429.6
21	გურჯაანის მუნიციპალიტეტის ამბულატორიებისათვის საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგისათვის საჭირო სამედიცინო მოწყობილობებისა და საოჯახო ტექნიკის შესყიდვა	22.0
22	შპს „აბასთუმნის ტუბსაწინააღმდეგო საავადმყოფოს“ გათბობის ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯები	50.0
	სულ	**25 088.4**

“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი **ირაკლი ღარიბაშვილი**